იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 01.08.2012წ.

ერთის მხრივ ფიზიკური პირი "მეიჯარე" ზაზა ქობულაძე (პ/ნ 01016004630) თანამფლობელი ირაკლი ქობულაძე (პ/601011030339) და მეორეს მხრივ შპს "მულტიკოლორი" –"მოიჯარე" (ს/კ404906571) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ სვანიშვილის (პ/ნ 01010008539) სახით.

1. ხელშეკრულების საგანი

მეიჯარე ვალდებულებას იღებს იჯარით გადასცეს, ხოლო მოიჯარე ვადებულებას იღებს იჯარით მიიღოს ქ. თბილისში გულიას მოედანზე (ნაკვ.4/2) მდებარე სავაჭრო ფართი 65.09 კვ.მ და აანაზღაუროს შეთანხმებული საიჯარო ქირა.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

"მოიჯარე" ვალდებულია ზემოთ აღნიშნული სავაჭრო ფართი შეინარჩუნოს კარგ მდგომარეობაში, როგორიც მან მიიღო "მეიჯარისგან".

"მოიჯარე"-ს უფლება აქვს სავაჭრო ფართის შიგნით და ასევე გარე ფასადზე განათავსოს მისი საქმიანობისთვის აუცილებელი აბრები.

3. ანგარიშწორების პირობები და ვადები

საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის ყოველთვიური ქირა განისაზღვრება პირველი 2 (2012 წლის აგვისტო-სექტემბერი) თვის განმავლობაში 150 (ასორმოცდაათი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, ხოლო მომდევნო 10 (ათი) თვე 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ივლისის ჩათვლით განისაზღვროს 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში საიჯარო ქირის გადახდა ხდება ყოველი მომდევნო თვის 5(ხუთ) რიცხვამდე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორებით ეროვნულ ვალუტაში.

3.1 თანხა გადაირიცხება ზაზა ქობულაძის ანგარიშზე, რომელიც მიეწოდება დანართის სახით მოიჯარეს.

3.2 კომუნალურ ხარჯებს იხდის მოიჯარე.

4. ხელშეკრულების ვადები

ხელშეკრუელბა ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 1(ერთი)წლის განმავლობაში.

5. ფორს-მაჟორი

იმგავრი გარემოებათა დადგომის შემთხვევაში, რაც ხელს უშლის მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებას (ფორს-მაჟორი), კერძოდ, ხანძრის, სტიქიური უბედურებების, ბლოკადების, ექსპერტ ან იმპორტის აკრძალვების ან სხვა მხარეებისგან

დამოუკიდებელი გარემოებების შემთხვევაში ვალდებულებების შესრულების ვადები გადაიწევს ამ გარემოებების ან მათი შედეგების მოქმედების ხანგრძლივობის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ამ გარემოებების და მათი შედეგების მოქმედების ხანგრძლივობა გადააჭაბებს 3 თვეს, არც ერთ მხარე არ აქვს უფლება მოითხოვოს მეორე მხარისაგან ზარალის ანაზღაურება.

მხარე, რომლისათვისაც შეუძლებელი გახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოებათა დადგომის შესახებ.

6. არბიტრაჟი

სადაო საკითხები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დავის გადაწყვეტა საარბიტრაჟო წესით.

7. სხვა პირობები

არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები ან ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით ან ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.

მოიჯარე იჯარის შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულია გააფრთხილოს მოიჯარე იჯარის შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე.

8. მხარეთა მისამართები

მეიჯარე	მოიჯარე
ფიზიკური პირი	შპს "მულტიკოლორი"
ზაზა ქობულაძე	თბილისი გულიას მოედანი
(რუსთავის გზატკეცილი28, ბ.36)	დირექტორი: ნიკოლოზ სვანიშვილი
თანამფლობელი:	
ირაკლი ქობულაძე	
(მოსკოვის გაზ,45, ბ.16)	